# სახალხო გაზეთი

№ 395 ოთხშაბათი, 7 სექტემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 395

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედ ციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5—დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მიხაკელი მხედან

ფოსტის ადრესი: ... და ფოსტისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## „სახალხო გაზეთი"

სურათებიანი დამატებით

1 ენკენისთვიდან წლის ბოლომდე

ღირს 3 მან. 20 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (п. я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

## დ. ყვირილაში

„ართმანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა

„სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

## ქ. თელავის ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ჩვენი გაზეთის თელაველ ხელის მომწერთ, ვისაც სურს, რომ გაზეთი იმავე დღეს მიიღოს ქ. შ. წ. კ. წიგნის მაღაზიაში, ვთხოვთ ამის შესახებ განაცხადონ აღნიშნულ მაღაზიაში და თან წარუდგინონ ფოსტის ბანდეროლი. (3—2) სახალხო გაზეთის კანტორა.

მარიამ ქაიხოსროს ასული, შვილებითურთ და რძალი სოფიო, დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი ქმარი, მეორის დაუვიწყარი მამა და მესამის მამამთილი

მიხეილ პეტრეს ძე ციმაკურიძე

სოფელ ქვიშხეთში. დაკრძალვის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე. (1—801—1)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—134)

## ა. კ. გედევანიშვილის საბავშვო ბ.ღი

ამით აცხადებს, რომ სწავლა დაიწყება 8 სექტემბრიდან. ბავშვები მიიღებიან 5-დან 7 წლამდე. ბავშვების ჩაწერა და დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი, № 8, ნ. ნაკაშიძესთან 12 საათიდან 2-მდის, ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა. (10—1475—7)

## ქართველ ქალთა ამხანაგობის =სამკერვალო სკოლაში=

სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს. საკერავის კლასებში არც ერთ განყოფილებაში ალაგი აღარ არის, მხოლოდ კრა-კერვის კურსებზედ შეიძლება მიღება მოზდილ ქალებისა (16 წლიდან 30-მდე). 15 სექტემბრიდანვე მიიღებენ შესაკერად კაბებს იაფად.—გაბაანთ ქუჩა, № 3, ვერა. (5—1488—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამე. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 ს.

დოუთაშან რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$ საათ., ღარიბებით უფასოდ.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—$1^{1}/_{2}$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^{1}/_{2}$—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფარადოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოზოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ჩუდნოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. ღარიბებით უფასოდ.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ი. გ. ფედოროვი. ღარიბებით უფასოდ.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული, ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (წ.—1089—564)

ექიმი ე. ვ. პაპაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12. 6—131)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე.

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი

## „კოლხიდა"

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.

ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ.

საზღვარ-გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. თითო ნომერი ერთ შაურად.

ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ «კოლხიდა»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდის, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^{1}/_{2}$.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^{1}/_{2}$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთ ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოზოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით.

(წლ.—1090—152)

ექიმი ზ. ნ. მაზაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—20

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანიშვილისა.

ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე დაბრუნდა ტფილისში. მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

ექიმი გ. გ. ლოლოგერიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღამოობით, ყოველ-დღე 5—7 საათამდე. კირპიჩნი შესახვევი, № 16, სახ. სვიმონოვისა. (თ—1426—26)

ექიმი ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-ჯანტურიასი ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე. ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—21)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—101)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი ჯაბამჯილისა (ვ)

ექიმი ე. ი. მინასიანცი. შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე. მლისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—7)

პირველ ენკენისთვიდან კვლავ დაიწყებს გამოსვლას ყოველ-დღიური გაზეთი

## „სინათლე"

ივანე პ. როსტომაშვილისავე რედაქტორობით; სრულიად სხვა სახით. გაზეთის ფასი იქნება ყველგან სამი კაპ. (წინანდელი ორი კაპ. მაგივრად), ხოლო თვეობით გამომწერთათვის—შინ მიტანით 65 კაპ., პირველ იანვრამდის კი—2 მან. 40 კაპ. თანამშრომლებს ვსთხოვთ კვლავაც განაგრძონ თანამშრომლობა. საჭიროა გაზეთის დამტარებელნი და გამყიდველნი. პირობების შესატყობად მიჰმართეთ ახლავე ივ. როსტომაშვილს (თუმანიანთ შესახვევი, № 24—Тумановскій пер., 24). რედაქტორ-გამომცემელი ივ. პ. როსტომაშვილი. (5—5)


## ტფილისი, 7 სექტემბერი

**უმაღლეს სასწავლებლებში.**

უმაღლეს სასწავლებელთა ცხოვრება თითქოს ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. ყოველს შემთხვევაში სამინისტრო სრულს კმაყოფილებას იგრძნობს, რაკი სწავლა პირველ ენკენისთვიდან წესიერად დაიწყო. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს სახალხო განათლების სამინისტროს ტენდენციები—დამყარდეს წესიერება, თუნდაც იგი გარეგნული ხასიათისაც იყოს. ის ზომები, რომლებიც სამინისტრომ მიიღო უმაღლეს სასწავლებლებში „წესიერების დასამყარებლად" საინტერესოა არა მარტო როგორც წესიერების დამამყარებელი ზომები, მათში გამოსჭვივის მთელი გეგმა მოქმედებისა და ეხლანდელ სამინისტროს შეხედულება უმაღლეს სასწავლებელზე. ეს შეხედულება კი გამოიხატება იმაში, რომ სამინისტროს სურს უმაღლეს სასწავლებელს ისეთივე ხასიათი მისცეს, რანაირიც საშუალო სასწავლებელსა აქვს. სურს საშუალო სასწავლებელში გამეფებული წესები ბიუროკრატიულ აპეკისა უნივერსიტეტშიაც გადიტანოს. ეს ტენდენცია მეტად მკაფიოდ გამოსჭვივის მინისტრის უკანასკნელ განკარგულებებში.

თავი დავანებოთ იმას, რომ ეს უკვე სრული გაუქმებაა იმ ავტონომიისა, რომელიც უნივერსიტეტებს მიენიჭა. ავტონომია ფაქტიურად დიდი ხანია გაუქმებულია. მაგრამ ზემოხსენებული ტენდენცია, ბიუროკრატიის აპეკის გაძლიერება უნივერსიტეტებზე, იმდენად მავნებელია მეცნიერების თავისუფალ განვითარებისთვის, რომ ბევრი ზომიერი პროფესორიც კი აალაპარაკა.

წარსულმა ცხოვრებამ ბევრი მაგალითი უჩვენა სამინისტროს, მაგრამ იგი მაინც განაგრძობს თავის ერთხელ არჩეულ გზით სიარულს. შედეგიც შესაფერისი მოჰყვა: თითქმის ყველა უნივერსიტეტებში აუარებელი თავისუფალი ვაკანსიებია. პეტერბურგის უნივერსიტეტში ხუთასზე მეტი თავისუფალი ვაკანსიაა, ხარკოვში—ამდენივე, ოდესაში, ამ ცნობილ უნივერსიტეტში, რომელსაც ყოველთვის ქება-დიდებით იხსენიებენ ხოლმე ყოველნაირ ჯურის შემარჯვენი, სულ ას კაცს შეუტანია თხოვნა, იურიევში 1200 ვაკანსიაზე ორასი თხოვნა ძლივს მოდის, სარატოვის უნივერსიტეტში თხოვნა შეუტანია სულ 67 კაცს, და სხვ.

აი რანაირ სურათს იძლევა რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა დღევანდელი მდგომარეობა.

მემარჯვენე პრესა, რა თქმა უნდა, ამ მდგომარეობასაც სანუგეშებლად დაინახავს, მაგრამ ყოველს შეგნებულს ადამიანს, რომელსაც გულ-წრფელად შესტკივა გული უმაღლეს სასწავლებლებისადმი, ასეთი უნუგეშო მდგომარეობა, მეცნიერების ტაძრისა, უეჭველია მწარედ ჩააფიქრებს.—მაგრამ ეხლა მაინც მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას ამ გარემოებას სახალხო განათლების სამინისტრო? ღმერთმა უწყის...

## ადგილობრივი პრესა

ჩვენმა გაზეთმა აღნიშნა ის უდიდესი შეხმატკბილება, რომელიც დამყარდა ტფილისის საქალაქო არჩევნების გამო ხაჩატუროვის „ტიფ. ლისტოკსა" და „მნათობი"-ს შორის. ასეთი აზრთა სოლიდარობა ხაჩატუროვის გაზეთისა და „მნათობის"-ს ჯურის გაზეთებს შორის არ ახალია, ძველია. შორს რომ არ წავიდეთ, მოვიგონოთ, თუნდა, ის გარემოება, რომ „ტიფლ. ლისტოკმა" „სიამოვნებით" დაუთმო ადგილი „მნათობი"-ს თანამოაზრეებს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნების დროს, და იმათაც „სიამოვნებით" ისარგებლეს ხაჩატუროვის სულგრძელობით. რა მიზნით სჩადიოდა ამას ხაჩატუროვის გაზეთი, თურმე მაშინ „მნათობი"-ს თანამოაზრეებმა არ იცოდნენ, ეხლაც, საქალაქო არჩევნების გამო, რომ „ტფლ. ლისტოკსა" და „მნათობს" შორის აზრთა სოლიდარობა დამყარდა, უკანასკნელს ვერაფერი გაუგია.

„ჩვენ არ ვიცით, რა ჰქონდა სახეში,—სწერს „მნათობი",—ან რა გულის ზრახვა ამოქმედებდა „ტფ. ლისტ."-ს, როცა ის ჩვენს პოზიციას იწონებდა, მაგრამ იგი რომ ყოველ შემთხვევაში არ მოასწავებს ჩვენს სოლიდარობას ხაჩატუროვთან,—ეს ყველა ჭკვათამყოფელმა ადამიანმა იცის".

თუ თქვენ არ იცით, „მნათობი"-ს პუბლიცისტებო, რა ამოძრავებს ხაჩატუროვს ან რა გულის ზრახვა ამოძრავებს, სხვებს დავეკითხებოდით და ისინი აგიხსნიდნენ. ჩვენ პირდაპირ ვწერდით ამის შესახებ, და შეგეძლოთ, თუ უარსაყოფელად საბუთები არა გქონდათ, ჩვენი დარიგება "მხედველობა"ში მაინც მიგეღოთ. ესეც რომ არ იყოს, ქინიანობისთვის რომ თავი დაგენებებინათ და ცოტა ობიექტიურად შეგეხედათ საკითხისთვის, მაშინ გაუგებარი თქვენთვისაც არაფერი იქნებოდა და ხაჩატუროვის გულის ზრახვასაც გაიგებდით. მაშინ თქვენც თვალები აგეხილებოდათ; მაგრამ თქვენ ისე ძალიან გეშინიანთ სინამდვილის დანახვისა, რომ თვალდახუჭული სიარული ამჯობინეთ. მართლაც, რა აქვს საერთო ხაჩატუროვის „ტიფ. ლისტ."-სა და „მნათობს", რომ ორივენი არჩევნების წინ ინტერნაციონალურ ნიადაგზე დგანან? რა იდუმალის ჯაჭვებითაა გადახლართული ინტერესები სომხის ნაციონალისტების აზრთა გამომხატველ „ტიფლ. ლისტოკისა" და ქართველ ინტერნაციონალისტების გაზეთისა? როგორ მოხდა, რომ სომხის ნაციონალისტების გაზეთს მოსწონს პოზიცია ქართველ ნაციონალისტებისა? პასუხი ერთად ერთია. ეს მიტომ მოხდა, რომ ინტერნაციონალიზმი ქართველთა საზოგადოდ და „მნათობისა" კი განსაკუთრებით სახეირთა სომხის ნაციონალისტებისთვის. ეს მოხდა იმიტომ, რომ ქართველთა ზეცა ინტერნაციონალიზმი და ამ ინტერნაციონალურ პრინციპებზე დამყარებული პრაქტიკული გეგმა მოქმედებისა ხელს უწყობს, ამაგრებს და აძლიერებს სომხთა ნაციონალურ ცხოვრებას მთელის თავის სივრძე-სიგანით. აი, მხოლოდ რით შეიძლება აიხსნას ის აზრთა სოლიდარობა, რომელიც „ტიფლ. ლისტოკს" და „მნათობს" შორის დამყარდა, და რომელსაც ყველა ხედავს, გარდა თვალებზე ბისტ გადაკრულ „მნათობი"-ს პუბლიცისტებისა...

## ნარკვევი

ჩვენი ცნობილი მტერ-მოყვარე „ზატერიანი" „ნოვოე ვრემიას" ფურცლებზე ნიანგის ცრემლებს აფრქვევს კავკასიის ჭირ-ვარამზე და განსაკუთრებით კი ქართველთა „დაბეჩავებისა" ჯამო. ახლა მის გულის მოუთქავ საბაბს ის წარმოადგენს, რომ ებრაელები ავსებენ კავკასიას, განსაკუთრებით ქართველებით დასახლებულ ქალაქ დაბებს:

„1904 წლიდან 1910 წლამდე კავკასიაში ებრაელებმა 28 პროცენტი იმატეს... აქ ისინი ადგილობრივ მკვიდრზე გაცილებით მაღლა ჰგრძნობენ თავს... ებრაელებმა კარგად იციან, რომ ქართველობა თავის დაბეჩავებულ ცხოვრებაზე წუწუნს ვერ გასცილებია და მაღალ ფრაზებში გართული ცხოვრების სინამდვილეს დაჰშორებია... ამისათვის ჩინებულად ჰგრძნობენ თავს მათ შორის... სოფლებში იგინი არ ეტანებიან, რადგანაც იქ რევოლიუცია არეულობისა და სიბნელის მეტი არაფერია და „თავისუფალ ხელობის ხალხი" კი ვერაფერს გამორჩება"...

ავტორს, სხვათა შორის, კავკასიის მეფის მოადგილედ ნამყოფ თ-დ გ. ს. გოლიცინის აზრი მოჰყავს:

„ებრაელები რომ ზნეობრივად ისეთი უხიაკნი არ იყვნენ, ვიშუამდგომლებდი რომ მთელი კავკასია ებრაელთა მოსახლეობის ფარგალში მოქცეულიყო. ათის წლის შემდეგ მთელ მხარეს ებრაელების ხელში ჩააგდებდნენ და ებრაელთა ეკონომიური აღმატება გონზე მოიყვანდა ადგილობრივ მკვიდრთ. ისინი სწრაფად მოტყუვდებოდნენ, რუსეთისადმი დამოკიდებულებას შესცვლიდნენ და შეგვევედრებოდნენ—ებრაელთა ხელიდან გვიხსენითო.., ათასი ებრაელი უფრო მეტს გაარიგებდა, ვიდრე ორმოცდაათი ათას მეომარიანი ლაშქარი",..

ავტორის სიტყვით, ეს აზრი თ-დ გოლიცინს მეტისმეტ ღელვების დროს გაუზიარებია მისთვის...

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ნამესტნიკმა მოხსნა საქმე** ტფ. მეორე განყოფილების მომრიგებელ შუამავლად ნამყოფ. თ-ს ი. ი. ვაჩნაძისა, რომელსაც სამსახურის დროს ბოროტმოქმედების ჩადენას აბრალებდნენ.

✦ **საქართველოს ეგზარხოსი** ამ თვის შუა რიცხვებში კახეთს მიემგზავრება, სადაც, სხვათა შორის, დაესწრება ბოდბის მონასტერთან სამ კლასიან სასწავლებლის გახსნას.

✦ **პ. ა. სტოლიპინის სულის მოსახსენებლად** გუშინ პანაშვიდი იქმნა გადახდილი სამხედრო ტაძარში. პანაშვიდს ადმინისტრაციის უმაღლესი წარმომადგენელნი და დიდძალი ხალხი დაესწრო.

✦ **სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი რუდოლფი** 2 თვით დასასვენებლად ტფილისიდან გაემგზავრა.

✦ ტფილისში ჩამოვიდა მიწადმოქმედების დეპარტამენტის განყოფილების უფროსი ა. ი. კნიზე, რომელიც დღეს ყარაიაზის საცდელ მინდვრების დასათვალიერებლად გაემგზავრა, თან ახლავან: დემენტიევი, ქალანთარი და სტრატონოვი.

✦ ტფ. გუბერნატორის მოადგილემ კავკასიის ნამესტნიკს ქალა-

ქის საბჭოს 6 ივლისის სხდომის განაჩენი წარუდგინა. რომლითაც ქალაქმა თავ, ნ. ა. ჩოლოყაშვილთან გაზის ქარხნის აშენების პირობები შეკრა.

საქმესთან ერთად გუბერნატორმა საგუბერნიო საქალაქოს საქმეთა საკრებულოს აზრიც წარუდგინა, რომლითაც საკრებულომ ხელშეკრულება მოიწონა.

◆ **ქალაქის სასანიტარო კომისიის კრება** ქალაქის ექიმთა და ქიმიკოსის მონაწილეობით დღეს მოხდება.

◆ **საარჩევნო კრება.** 4 სექტემბერს ნაძალადევის (მეექვსე საარჩევნო უბნის) ქართველ ამომრჩეველთა კრება მოხდა. კრება ცენტრალურ ბიუროს წევრმა კ. ტყავაძემ გახსნა, რომელმაც დამსწრეთ გააცნო ბიუროს მიზანი და მოქმედება. კრებამ დაადგინა, ბიუროს ხელმძღვანელობით იმოქმედოს. არჩეულ იქმნა ამ უბნის ბიურო, რომელშიაც შევიდნენ: ალ. ქობულაშვილი, გრ. ჩარკვიანი, ბეს. დვალიძე, ალ. ბაქრაძე, ვას. ნაცვლიშვილი, ზაქ. ლაბაური, იაგორ ცერცვაძე, ივ. შუბლიშვილი, ნიკ. ქველაშვილი, არსენ ხავთასი, დავ. დოლიაშვილი, ნიკ. წილიკი, ი. სუხიაშვილი, გ. ჯაბაური, არ. ოქროაშვილი, და ირ. ოქრუაშვილი

◆ **განსვენებულ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის ძეგლის კურთხევა** 4 სექტემბრისათვის იყო დანიშნული. მაგრამ სექტემბრის შუა რიცხვებისათვის გადაიდო, რადგანაც განსვენებულის ყველა მეგობრებ ნაცნობები აგარაკებიდან ჯერ არ დაბრუნებულან. ძეგლი მოქანდაკე ანდრეოლეტს უკვე დაუმთავრებია.

◆ **ქართული დრამა.** სეზონის საქმე ტფილისში გამოცოცხლდა. როგორც გავიგეთ, დრამატიული საზოგადოება უკვე შესდგომია დასის შედგენას და რეპერტუარის შემუშავებას. რეჟისორებად მოწვეული იქნებიან ვლ. ალექსი-მესხიშვილი და კონსტ. შათირიშვილი.

◆ ყასაბთა ამქრის უსტაბაშმა ბ. ჯავახიშვილმა გუშინ ტფილისის გუბერნატორის მოადგილეს თხოვნა მიართვა. ახალ ნიხრის ძალით გირვანქა 11 კაპეიკად უნდა ჰყიდონ და თითონ კი 12 კაპ. უჯდებათ და ამისათვის სთხოვს ხელახლა გადაათვალიეროს არსებული ნიხრი.

◆ ჩვენი თანამემამულეს მიხეილ შალამბერიძეს ლეიპციგის უნივერსიტეტი დაუსრულებია და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიუღია. იგი სამშობლოში დაბრუნდა.

◆ **ახალი კლუბი და კაბარე.** უკანასკნელი კაბარე ახალ კლუბში კვირას, 4 სექტემბერს, მეტად არა საინტერესო იყო. კაბარეს მაგიერ ამ საღამოს მაყურებლები სტკებოდნენ ვიღაც ევგენიევ-მანინის დეკლამაციით, სიმღერით, ცეკვით და სხვა. ერთი სიტყვით, ეს საღამო გ. ევგენიევ-მანინის ვარჯიშობა იყო, თუ არ ჩავთვლით ერთი შანსონეტი ქალის გამოსვლას, რომელმაც კლუბისათვის სრულიად შეუფერებელ ტანისამოსში სრულიად შეუფერებელი პორნოგრაფიული კუპლეტები იმღერა.

◆ **ნაძალადეველთა თხოვნა.** არა ეშველა-რა ნაძალადეველთა შუამდგომლობის დაკმაყოფილებას. კარგა ხანია, ისინი შუამდგომლობენ იმას, რომ ყუბანის ქუჩა ვაგზლის მოედნითან ფეხით სასიარულო ხიდით შეაერთონ. შუამდგომლობის დაკმაყოფილება რკინის სამმართველომ არ იკისრა, ფული არა გვაქვსო. ნაძალადეველთ შესაფერი შუამდგომლობით ახლა ნამესტნიკისათვის მიუმართავთ.

◆ **ტუსაღის გაქცევა.** 5 სექტემბერს გაიქცა სამუშაოზე გაყვანილი საგუბერნიო ციხის ტუსაღი რაფაელ არუთინოვი, რომელსაც 3 წლის ციხე ჰქონდა გადაწყვეტილი ყალბის ფულის გასაღებისათვის.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „ემპირიოკრიტიზმი“ ა. სვანიძისა, გამოცემა ა. კალანდაძისა. წიგნი 62 გვერდს შეიცავს და სამ შაურად ღირს.

◆ **დიდუბის ეკლესიის დღესასწაული.** ხვალ, 8 სექტემბერს, დიდუბის ღვთის-მშობლის ეკლესიაში საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი სწირავს.

◆ კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტის წევრი—საქმის მწარმოებელი **ა. ს. ფირალოვი** ს. პეტერბურგში გაიგზავნა.

◆ წვრილი კრედიტის ინსპექტორს ვიფორს სიღნაღის მაზრაში, სიღნაღში და ველისციხეში შემნახველ-გამსესხებელი კასები გაუხსნია, გურჯაანში, ბაკურციხეში, ვაქირში, და კაჭრეთში კი წვრილ კრედიტის ამხანაგობები.

## წვრილი ამბები.

◆ 5 სექტემბერს საერთო ხმრკ... დაბატიმრების დროს ტფილისში შეიპყრეს 56 უპასპორტო.

◆ 5 სექტემბერს არამ კარაგეზმა დუქანში დაპატიჟა ივანე ოდიშეროვი. გზაზე შირყულმა უცებ დანა ამოიღო და წელში მძიმედ დასჭრა ოდიშეროვი და მიიმალა.

## საზოგადოებანი და კრებები.

◆ დღეს, საღამოს, ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სამუსიკო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება დანიშნული მომავალ სეზონის მოქმედების განსახილველად, რეპერტუარის შესადგენად და სხვა.

◆ წელს მეოთხე წელი შესრულდება, რაც **საქართველოს სახ**ტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოება დაარსდა. ამისათვის წევრთა საზოგადო სადღესასწაულო კრება მოხდება.

## სასამართლო

◆ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** თიანეთს გაემგზავრა, სადაც დაჰყოფს 8 სექტემბრამდე.

## ქუთაისი

◆ **სამინისტროს წინადადება.** სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობამ სამინისტროსაგან დასაბუთებული ვრცელი განმარტება მიიღო, თუ რატომ არ დართო ნება, რომ ბანკს მიეცა სათავად-აზნაურო გიმნაზიისათვის შარშანდელი მოგებიდან 26,000 მანეთი. სამინისტრო წინადადებას იძლევა, როგორც ეს თანხა, ისე მომავალი წლების მოგება, სავსებით ჩაირიცხოს ბანკზე დარჩენილ მამულების დარჩენილ გადასახადთა დასაფარავად. რომელიც 1 იანვარს უდრიდა 415,000 მანათსაო.

◆ **შუამდგომლობა.** ქუთაისის ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების გამგეობამ თვითმმართველობაში საზოგადო კრებისაგან 10 ივლისს დამტკიცებული მოხსენება შეიტანა.—გავრცელდეს საზოგადოების მოქმედება ქუთ. გუბერნიის ყველა ქალაქებზე და სთხოვს თვითმმართველობას, იგი შინაგან საქმეთა მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგინოს.

◆ **ანკეტა.** სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველთა კომიტეტმა მოისმინა სამინისტროსაგან მოსული განმარტება არა-ჩვეულებრივი კრების მოწვევის თაობაზე და გადასწყვიტა,—მოახდინოს შეკითხვა იმ რწმუნებულებისა, რომელნიც ითხოვდნენ კრების მოწვევას, ვინაიდან ეჭვი აქვთ, რომ ისინი თავის სურვილის წინააღმდეგ, სხვათა ჩაგონებით, იმოქმედესო. („მნათობი“).

## გორი.

◆ ქ. გორში გაიხსნა **პრო-კერვის სკოლა** იმ ტიპისა, რომელიც ქალაქში არსებობს ქართველ ქალთა ამხანაგობის სახელით. სახელოსნო სკოლის მართვა-გამგეობა იკისრა ელენე ზაალის ასულმა თარხნიშვილისამ, რომელიც ზემოხსენებულ ქართველ ქალთა ამხანაგობის სკოლაში დიდ ხანს იყო მასწავლებლად.

## ხონი.

◆ **მე V და VI კლასის გახსნა ხონის პროგიმნაზიაში.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ ხონის სავაჟო პროგიმნაზიაში ენკენისთვის პირველებიდან გაიხსნება მეხუთე და მეექვსე კლასები.

## თელავი

◆ პოლიციის ცნობებით საერობო დარაჯების მზვერავი რაზმი სოფ. ვარდისუბნის იქით მთებში შეიარაღებულ ჯგუფს წააწყდა, რომელთაც ცნობილი „ლეკი“ ჰბელადობდა. ისინი აღდგომის ეკლესიის ნანგრევებში იყვნენ ჩასაფრებულნი. ყაჩაღებმა სროლა ასტეხეს, მაგრამ მალე საფარი მიატოვეს და სიბნელის წყალობით მიიმალნენ. დასტოვეს სისხლის კვალი, ღვინით სავსე ტიკი, ბევრი პური, სანოვაგე, პატრონები, ნაბდები და სხვა.

## პროვინცია

◆ **სოფ. ხაშმი** (ტფ. მაზრა). წვრილი კრედიტის ამხანაგობა გაიხსნა.

◆ **სოფ. საგარეჯო** (ტფ. მაზ). მინდორში ალექსანდრე კიკაურმა ლევან ხურხული თოფით მოჰკლა. მკვლელი შეიპყრეს.

◆ **ახალშენი ტროიცკოე** (სიღნაღის მაზრა) აქაურმა რუსთა ახალშენმა ბაღების გაშენება განიზრახა და მიწად-მომწყობ და მიწად-მოქმედ მთავარ-გამგის კავკასიის რწმუნებულს სთხოვს უსასყიდლოდ გაუგზავნოს ვაზისა და ხეხილის ნერგები.

◆ **სოფ. საქაოო** (ქიზიყი) უცნობმა ბოროტ-მოქმედმა სტეფანე ბაკაშვილი თოფით მოჰკლა.

## ქუთაისის რამე-რუმე.

ახირებული წესდება ჰქონია ქუთაისის ბანკს. ამ წესდების ერთი მუხლი ავალებს თურმე ბანკს, რომ რწმუნებულთა კრება ყოველთვის უნდა იყოს მოწვეული, თუ ოცმა ან მეტმა რწმუნებულმა ითხოვოს იგი მოწვევა. კიდევ კარგი, კრების განსახილველად ამ ოცმა რწმუნებულმა ბანკის მოქმედების შესაფერი კითხვები შეიტანა, მაგრამ რას იტყვით მაშინ, როცა რწმუნებულთა განსახილველად ისეთ საგნებს მოათავსებს ოცი რწმუნებული, რომლითაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ბანკთან ან და იგივე ოცი რწმუნებული იანვარში მიღებულ გადაწყვეტილებას, თებერვალში მოინდომებს გაბათილებას, ამას კიდევ მარტში გააბათილებენ და ასე ამ ნაირად განუწყვეტელი კრებები ექნებათ რწმუნებულებს მისთვის, რომ წინა კრების გადაწყვეტილებანი გააბათილონ.

თუ სულ არა, დაახლოვებით მაინც ასეთი საქმე შეიძლება დაემართოს ქუთაისის ბანკს. მაისსა და თიბათვეში მოხდა რწმუნებულთა კრება. ორი კვირა ითათბირეს მათ და საქმეს ავად თუ კარგად პატრონობა გაუწიეს. მოხდა დამფასებელთა არჩევნები, რომლითაც ზოგიერთნი არ დაკმაყოფილდნენ და, რაკი დამფასებელთა არჩევნები ვერ გააუქმეს, ზედამხედველ კომიტეტს „უბძანეს“—კრება მოიწვიეთ და იქ გაყურებინებთ სეირსაო, და განსახილველ საგანთა შორის მოათავსეს კომიტეტის წევრთა მოქმედების განსჯაც.

ზედამხედველ კომიტეტს ჯერ თურმე განხილული არა ჰქონდა ეს „ბრძანება“, რომ ფინანსთა მინისტრის რწმუნებული შეჰკითხებია სახკრედიტო კანცელარიას,—სავალდებულოა თუ არა წესდების § 89 აღსრულება, როცა რწმუნებულთა განსახილველად არა სათანადო კითხვებია წარმოდგენილიო. იქ, რასაკვირველია, ბიუროკრატიულის თვალსაზრისით განუხილავთ შეკითხვა და ბ-ნ სობრიევსკის პასუხად მიუღია—კანონი უნდა აღსრულდესო.

ასე და ამნაირად რწმუნებულთა კრება მოწვეული იქნება. სხვათა შორის განსახილველად წარდგენილია თურმე საკითხი, რა უფლებით მისცა ზედამხედველმა კომიტეტმა და გამგეობამ 12 წლის ნამსახურს დამფასებელს 1500 მანეთი და ზედამხედველ კომიტეტის მდივანს—500 მანეთი. საკვირველი ის უფრო არის, რომ ამ კრების მოწვევის მსურველნი, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ის პირებიც არიან თურმე, რომელთაც ეს ჯილდო დაენიშნათ.

გაუგებარი ამაში არაფერი იქნებოდა, რომ ზემოხსენებულ პირთ ამ ჯილდოზე უარი ეთქვათ და პრინციპიალური წინააღმდეგნი ყოფილიყვნენ ფულის გაღებისა, მაგრამ საკვირველი სწორედ ის არის, რომ ამ პირთ ფულიც თურმე მიიღეს და წინააღმდეგნიც არიან მისი გაღებისა.

ნეტა რითი აჰხსნიან კრებაზე ეს ბატონები ასეთ წაჯიქ-უკუჯიქობას?

* *
*

არა ერთხელ და ორხელ აღნიშნულა ის გარემოება, რომ სასწავლებლები ვერ იტევს სწავლის მსურველთ და მრავალი ბავში სასწავლებლის გარეშე რჩება. მით უფრო საკვირველია ის გარემოება, რომ ქუთაისის რეალურ სასწავლებელს, მომატების მაგივრად, მოსწავლეთა რიცხვი დღითი-დღე აკლდება თურმე. წრეულს მოსამზადებელ კლასში იმდენმა ბავშმა ვერ მოიყარა თავი, რომ მოსამზადებელი კლასი შეევსოთ. ეს კიდევ არაფერი რომ სხვა კლასებიდანაც არ გარბოდნენ ყმაწვილები. ვისაც კი შეძლება ან გარემოება ნებას აძლევს, ყველას თავის შვილი გაჰყავს რეალური სასწავლებლიდან და ამ ნაირად ერთი თუ ორი წლის განმავლობაში მოსწავლეთა რიცხვი, მომატების მაგივრად, ორასი კაცით შემცირებულა, იმით რომ ავხსნათ ეს გარემოება, რომ რეალურ სასწავლებელში კურს დასრულებულთ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება არა აქვთ უეგზამენოდ, მაშინ ხომ მიზეზს წინაშეც უნდა გამოეწვია მოსწავლეთა სიმცირე, „მაგრამ“ საქმე, თურმე, იმაშია, რომ რეალური სასწავლებლის დირექტორის ლეონტიევის მიერ დამყარებულმა მკაცრმა რეჟიმმა იქამდე მიიყვანა ბავშვები, რომ უსწავლელობას არჩევენ, ვიდრე იქ ყოფნას.

ამ გარემოებას რომ ყურადღებას მიაქცევდნენ ისინი, ვისაც ჯერ არს, ბევრს ჰკუის მასწავლებელ ამბებს გაიგებდნენ, მაგრამ რად იზამენ ამას, როცა ბ-ნი ლეონტიევი მათს პროგრამას და სურვილს ასრულებს!

**ქვიანი.**

## პატარა სოფელი და დიდი საქმე

პატარა სოფელი მერეთი გახლავთ, გორის მაზრაში, და დიდი საქმე—სასოფლო თანხა.

აზრი სასოფლო თანხის დაარსებისა ისაია ფურცელაძეს ეკუთვნის, რომელმაც აქვე, მერეთში, ისეთი სამაგალითო ბაღი გააშენა, იმდენი სხვა და სხვა ევროპიული ძვირფასი ხილი აჩვენა ხალხს, რომ იმისი მაგალითით და გავლენით დღეს-ხვალ ერთ მთლიან ბაღად იქცევა მერეთის მახლობლად მდებარე სოფლები. საჭიროა მხოლოდ რუსეთში გატანა ჩვენი ხილისა და რადგან ხილის საზიდავად უკვე შემოიღეს განსაკუთრებული ბუხრიანი ვაგონები, იმედია, ჩვენც გავიკვლევთ გზას მოსკოვსა და პეტერბურგამდე და ჩვენს ხილსაც გავიტანთ იმ ბაზარში, სადაც თითო ვაშლი—თითო კალვილი—ათ შაურად იყიდება და გირვანქა კაკალი—აბაზად.

ამას წინად ისაია ფურცელაძემ მოიწვია მერეთელი მემამულენი, გლეხ-კაცობა და შემდეგი წინადადება მისცა:

—მე ჩემის ხარჯით შევკრავ და გავამაგრებ სამერეთოში პატარა ლიახვის პირს ოთხი ვერსის მანძილზე, ისე რომ წყალმა მამული აღარ წაგვიხდინოს: ლიახვის პირს მდებარე ჭალაში გზას გავიყვან; გზის პირს ექვსას ძირს კაკალს დავრგავ და ვახარებ; აგრედვე ნერგს, რამდენიც დაეტევა; იქვე ჭალაში მდ. ბოგონილის ნაპირებს სფოთლო თუთით ავავსებ; საჭირო ხარჯს, სამას-ოთხას თუმანს, მე გავიღებ, თქვენი დახმარება არ მინდა, ოღონდ პირობა დავდოთ, რომ არავის ჩვენგანს აღარ შეეძლოს საერთო ჭალიდან თავისი წილი გაიტანოს, ან გაჰყიდოს, დააგირაოს, იჯარით გასცეს. პირობა დავდოთ, რომ ფიჩხის, ნერგის, თუთის, კაკლის შემოსავალს თავის წილს აღარავინ მოითხოვს, არამედ სასოფლო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ თანხად დავდებთ. ორი კაცი ამოვირჩიოთ, ერთი მემამუ-

# ქართულ ხელოვნების ისტორიიდან

## ბაგრატის ტაძარი

III

**ტაძრის გეგმა და შინაგან-გარეგანი მორთულობა.**

ახლა თვით ტაძრის გეგმას გავეცნოთ[1]).

ბაგრატის ტაძრის ძირითადი გეგმა ჯვარის სახეს წარმოადგენს. მისი უდიდესი ნაწილი ანუ ნაოსი (ხომალდი) დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ არის მიმართული, უმცირესი ნაწილი კი (ტრანსეპსი) პირველს ძრდი-გარდა გადასჭრის, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. პირველს ერთად-ერთი კარი ჰქონდა, სახელდობრ, დასავლეთისა, ხოლო მეორეს ორი: სამხრეთისა და ჩრდილოეთისა. დასავლეთის კარი დანარჩენებზე უდიდესი იყო და ტაძრის უმთავრეს ზჰეს წარმოადგენდა.

1. ამ კარიდან მლოცველი შედიოდა ტაძრის დასავლეთის ნაწილში, რომელსაც არქიტექტურაში „ნართექსს“ ეძახიან, ქართველები კი უფრო „საქალებოს“ სახელით იცნობენ[2]). ბაგრატის ტაძარში ეს ნაწილი ორ-სართულიანი იყო და აქეთ-იქით, გვერდებში, ორი განყოფილება ჰქონდა. ეს განყოფილებანი ტაძრის შემდეგი ნაწილისაგან კედლებით იყვნენ გაყოფილი.

2. ამ კედლების აღმოსავლეთით იწყებოდა ტაძრის მეორე ნაწილი ანუ „შუა-ტაძარი“, რომელიც შეიცავდა მთელს „ტრანსეპსსა“ და „ნაოსის“ უდიდეს ნაწილს[3]).

ტაძრის ეს ნაწილი ექვსის დიდისა და ორი პატარა სვეტით იყო შემკობილი[4]). ოთხს დიდ სვეტს ტაძრის შუაგული ეჭირა და ზედ გუმბათის საფუძველი იყო დაყრდნობილი; მეხუთე და მეექვსე სვეტი ნართექსისაკენ მდებარეობდა, დანარჩენი ორი პატარა სვეტი ტაძრის მესამე ნაწილის წინ იყო ამართული. ამ პატარა ბოძებს გასწვრივ სამხრეთისკენ და ჩრდილოეთისკენ დაბალი კედელი (კანკელი) იყო ამართული, რომელიც შუა-ტაძრის აღმოსავლეთის საზღვარს შეადგენდა.

3. ამ ბოძებისა და კედლის აღმოსავლეთით მდებარეობდა ტაძრის მესამე ნაწილი[5]), რომლის იატაკი სამი საფეხურით იყო ამაღლებული დანარჩენი ნაწილების იატაკზე. ამ ნაწილს საერთოთ შეგვიძლია „საკურთხეველი“ ვუწოდოთ. იგი, თავის მხრით, სამად იყო გაყოფილი; შუა განყოფილებაში ტრაპეზი იდგა, რის გამოც ქართველები თვით ამ განყოფილებასაც ტრაპეზს ეძახიან; ჩრდილოეთით „სამკვეთლო“ იყო, სადაც საევქარისტიო ნაწილების შემზადება ანუ პროსკომიდია სრულდებოდა; ხოლო სამხრეთის განყოფილება „სალაროს“ წარმოადგენდა, სადაც საეკლესიო შესამოსელსა და ჰურჭელ-სამკაულს ინახავდენ. სამსავე განყოფილებას აღმოსავლეთისაკენ ნახევარ-წრის მოყვანილობა ჰქონდა, რასაც „ნიში“ ეწოდება. სამსავე ნიშს თითო ფანჯარა ჰქონდა დატანებული აღმოსავლეთისაკენ.

ამგვარათ, ბაგრატის ტაძარი წარმოადგენდა მოკრძო, ჯვარისახე, გუმბათიან შენობას, რომელიც სამ უმთავრეს ნაწილად იყო გაყოფილი: ნართექსად, შუა-ტაძრად და საკურთხევლად. უფრო სპეციალური ტერმინები რომ ვიხმაროთ და აზრიც სისწორით გამოვთქვათ, ქუთაისის ტაძრის გეგმა წარმოადგენდა „განვითარებულის ცენტრალური გეგმის შეერთებას ბაზილიკურს გეგმასთან“.[6])

ტაძრის კედლები შინაგანი მხრიდან რიყის ქვითა და დუღაბით იყო ნაშენები და დუღაბითვე გალესილი, ხოლო გარედან თლილი ქვის „პერანგი“ ჰქონდა ჩაცმული. ამ პერანგის თლილ ქვებს შორის ზოგიერთებს განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი მათის სიდიდით.

ყოველი სვეტი ერთმანეთთან და კედლებთან რკალ-თაღებით ანუ არკებით იყო დაკავშირებული, ხოლო ამ არკებზე ცა-კამარები და ნახევარ-კამარები იყო გადმოყვანილი. ამ კამარების ნაშთი, ჩუქურთმიანი ქვები, დღესაც იპოვება ტაძრის ნანგრევთა შორის.

სვეტები ანუ კოლონები მრგვალი მოყვანილობისა იყო და ლამაზის ჩუქურთმიანი თავებით (კაპიტელით) შემკობილი. ეს თავები დღესაც დაცულია ტაძრის ნანგრევთა შორის და თავისის უხვის ფოთლოვანის და ქართულის წნული-ჩუქურთმით აღტაცებაში მოჰყავს მნახველები. ალაგ-ალაგ ამ ფოთლოვანსა და წნულ ჩუქურთმებში ცხოველთა სახეებიც გვხვდება. მაგრამ, საზოგადოთ, კაპიტელების უმთავრეს სამკაულს ორიგინალური წნული ჩუქურთმა შეადგენს.

როგორც სპეციალისტები მოწმობენ, ჩუქურთმის ეს დარგი საეკლესიო არქიტექტურაში არსად იმ ზომამდე არ ყოფილა განვითარებული, როგორც საქართველოში. ამიტომაც ამგვარს სატაძრო ორნამენტს არქიტექტურაში „ქართული წნული უწოდეს.“[7]) მართლაც, ქართული ტაძრების ჩვეულებრივი სამკაული ეს წნულია.[8]) ამგვარისავე სამკაულით ყოფილა უხვათ მორთული ბაგრატის ტაძრის შინაგანი და, განსაკუთრებით, გარეგანი ნაწილები. შიგნივ, სვეტის თავებს გარდა, ამგვარი ჩუქურთმით უნდა ყოფილიყო მორთული საკურთხევლისა და შუა-ტაძრის გამყოფი დაბალი კედელი ანუ კანკელი, რომელსაც, სამწუხაროთ, ჩვენამდე არ მოუწევია. ხოლო გარედან ჩუქურთმით უხვათ დაფენი-

1) ჩვენ ამ ჟამად ხელში გვაქვს ბაგრატის ტაძრის სამი გეგმა: ერთი ბროსესი, მეორე დიუბუასი და მესამე პავლინოვისა. უკანასკნელი თავისუფალია იმ ორი პირველის შეცდომებისაგან და, ამიტომ, ჩვენც უმთავრესათ მას ვემყარებით. იხ. Матеріалы по археологіи Кавказа, вып. III, Москва, 1893 г., стр. 30 (ბროსეს გეგმა), 31 (დიუბუასი), 32 (პავლინოვისა).

2) ეს ნაწილი გეგმაზე აღნიშნული გვაქვს დიდი ციფრებით 1, 1, 1.

3) გეგმაზე შუა-ტაძარი აღნიშნული გვაქვს დიდი ციფრებით: 2, 2, 2, 2.

4) ეს სვეტები პატარა ციფრებით გვაქვს აღნიშნული: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8.

5) ეს ნაწილი გეგმაზე დიდი ციფრებითაა აღნიშნული: 3, 3, 3.

6) პავლინოვის აზრით, იხ. Матер. по ахр. Кавказа, вып. III, стр. 45. კურსივი ავტორისაა.

7) ამ ორნამენტის გამო ნ. პ. კონდაკოვი ამბობს: „Нужно отдать полную справедливость грузинскому искусству, что оно сумѣло самымъ широкимъ образомъ воспользоваться этою формою и, за отсутствіемъ другихъ пластическихъ украшеній, разработать ея виды полнѣе всѣхъ мѣстностей, гдѣ только эта форма ни являлась; ни въ собственной Византіи, ни въ мѣстностяхъ, гдѣ находимъ отсадокъ ея искусства, - напр. въ сѣверной Италіи, а особенно въ Венеціи,— ни въ Сербіи, ни въ Россіи, нигдѣ не встрѣчаемъ мы такой полной разработки. Исключеніе составляетъ Ирландія которой архитектурная орнаментика столь походитъ на грузинскую.... Но формы грузинскаго плетенія, даже въ сравненіи съ ирландскими, имѣютъ первенствующее значеніе: его характеръ болѣе правиленъ, рисунокъ орнаментовъ ясенъ, назначеніе и смыслъ рисунка всегда соотвѣтствуютъ монументальнымъ цѣлямъ и никогда не подчиняются хаотическому произволу воображенія и игрѣ формами“. (იხილეთ Н. П. Кондаковъ. Древняя архитектура Грузіи. Москва 1876 г. стр. 50). კურსივი ჩვენია.

8) ეს წნული ჩუქურთმა გამოიყენებს „ვეფხის-ტყაოსნის“ სამკაულად მისმა რედაქტორ-გამომცემლებმა 1888 წელს. იხ. ქართველიშვილის გამოცემის ბოლოსიტყვაობა, გვ. 359. ამ გამოცემის „ორნამენტები, სათაური ასოები და საბოლოები“ ქართული წნულის საუკეთესო ნიმუშებს იძლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეებმა, მეორე გლეხ-კაცობამ; ამ ორმა მესამე კაცი აირჩიოს და ამათ მიჰანდოთ ჭალის მოვლა და შემოსავლის მოკრეფა; იმათვე გადასწყვიტონ, რას მოხმარდეს სასოფლო თანხა: გზების გაყვანას, სკოლას, საჭირო წამლების შეძენას, ან ექიმის მიწვევას, სასოფლოდ მამულის ან სამეურნეო მანქანების შეძენას, ქვრივ-ობლის დახმარებას და სხვა და სხ.

გლეხებთაგანაც არავითარი დახმარება არ მინდა; წყლის პირის გამაგრებაზე ვინც იმუშავებს, ფასით იმუშავებს... საჭიროა მხოლოდ სოფელმა უპატრონოს იმ საქმეს, რომლის ნაყოფიც სოფლისავე საჭიროებას მოხმარდება. სოფელმა განაჩენით დაადგინოს, რომ საზოგადო საკუთრებას არც ვინმე თითონ წაახდენს, არც სხვას წაახდენინებს. მემამულეთ — ანტონ, ნიკოლოზ, ერეკლე, სოლომონ და სხ. ფურცელაძეებმა ერთხმივ მიიღეს ეს წინადადება და გამოაცხადეს: თუ ასე იქნება, უარვყოფთ ჩვენს უფლებას ჭალაზედაო.

საეჭვოდ რჩება ორი-სამი კაცი, უმცირესი წილის პატრონი, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ რაღაცა ათი დღიურის მამულის გამო სოფელს შესძულდნენ და საზოგადო საქმეში გამოსწყდნენ.

სიხარულით მიიღო ეს წინადადება გლეხკაცობამ. კრებას ათი კაცი დაესწრო; საზოგადო საქმისადმი იმისთანა თანაგრძნობა გამოიჩინეს, რომ ჩვენი უკუღმართი ცხოვრებით გულგატეხილს და სასოწარკვეთილსაც კი უკეთესი მომავლის იმედს გაუღვიძებენ:

რაღა, შენი ჭირიმე? საზოგადო საქმეა, რატომ არ გნებავს, ჩვენც დაგეხმაროთო?!.., სოფელმა მოინდომოს, თორემ შეუძლებელი არა არის რაო. ამბობდნენ ისინი. და მართლაც, სადაც იმისთანა შეგნებული, დარბაისელი და სოფლის საჭიროებისთვის თავგამოდებული მოიპოვება, როგორადაც დავით, გიორგი და ივანე გორგიშელები, ზაქარია კაპანაძე, ალექსი ბაიაძე, ალექსი რევაზიშვილი და სხვანი არიან, იქ სოფლის წარმატება და კეთილ-დღეობა უეჭველია.

საქმის იურიდიულად მოწყობა იკისრა ანტონ ფურცელაძემ.

**ივ. მაჭავარიანი.**

## ნ. კლენოვსკის აზრი ზ. ფალიაშვილის ქართულ საგალობლებზე.

ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობამ, თავისი გამოცემანი სხვათა შორის ცნობილ მემუსიკე ეტნოგრაფს ნ. კლენოვსკისაც გაუგზავნა. გამგეობას წერილი მიუღია ბ. კლენოვსკისაგან, რომელსაც უცვლელად ვბეჭდავთ, რადგანაც იმისი აზრი, როგორც ცნობილი მემუსიკე ეტნოგრაფისა, მეტის ყურადღების ღირსია.

„ღრმა მადლობას ვუძღვნი ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობას, რომელმაც ყურადღების ღირსი გამხადა და თავისი გამოცემის ექვსი ნაწილი გამომიგზავნა.

დიდის ინტერესით გავარჩიე ბ. ზ. პ. ფალიაშვილის ნამუშევარი. ხალხურ ჰანგების შეკრება და უწყებულ მუსიკალურ ფორმებში მათი ჩამოყალიბება ადვილი საქმე არ არის. რაიც შეეხება ქართულ ხალხურ ჰანგებს, მათი შეკრება და შემუშავება მეტად ძნელია; გამმა, რომელზედაც ისინია აშენებული, არა ჩვეულებრივი კონსტრუქციისაა. ამის გარდა ინტონაციების ნოტებზე გადატანა ყოვლად შეუძლებელია, მიუხედავად ყველა ამისა ზ. პ. ფალიაშვილმა სძლია დაბრკოლებას და საუცხოვოდ შეასრულა დაწყებული საქმე.

სულითა და გულით ვულოცავ ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობას მისი მოღვაწეობის ბრწყინვალე დასაწყისს და საგაისოდაც ვუსურვებ წარმატებას ქართულ ხალხურ ჰანგების შეკრება — შემუშავებაში.

**გულსავსებით ერთგული და მარად თქვენი სამსახურად განმზადებული ნ. კლენოვსკი.**

## გამოფენა დონის-როსტოვში.

როგორც მკითხველს ჩვენი გაზეთიდან ეცოდინება, აქ ათ ენკენისთვიდან პირველ ოქტომბრამდე სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა იმართება. გამოფენის პროგრამა გვიჩვენებს, რომ გამოფენა ძალიან საინტერესო იქნება. გამოფენის დღემდე მოკლე ხანიღაა დარჩენილი, ამიტომ ამ საქმის მეთაურნი დიდს მზადებაში არიან. ყოველ დღე მოდის განცხადება გამომფენთაგან — ადგილი დაგვითმეთო. დიდი მოთხოვნილებაა **ცხენების მოშენების** განყოფილებაში. უმეტეს ნაწილად საჯდომი ცხენები იქნება. ამიტომ ოთხი ახალი თავლა მოუმატეს. რამდენიმე შესაბმელ ცხენს დანიიდან მოელიან.

დანარჩენ განყოფილებებზე ჯერჯერობით ნახევარი ადგილია დაჭერილი.

**სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების განყოფილებაში**, ბლომად მიიღებენ მონაწილეობას მიწის დასამუშავებელ მანქანების დიდი ქარხნები. მაგალ., სააქციონერო საზოგადოება ბრიანის ქარხნებისა, თუჯის ჩამოსასხმელი ქარხანა ფრანკ და შრედერის სავაჭრო სახლისა, (თავრიდ. გუბ), ვორონეჟის მანქანების საამშენებლო ქარხანა სტოლლ და კომპ. ამხანაგობისა, კლეინერის ქარხანა (თავრიდ. გუბ.), „აქსაის“ სააქციონერო საზოგადოების ქარხანა.


მიიღება ხელის მოწერა მხოლოდ 10 ენკენისთვემდე

არჩილ ჯორჯაძის

თხზულებათა მე-3 წიგნზე

„ნააზრევი“

ხელის მოწერით ეღირება 40 კ. აგენტებთან; ფოსტის გასაგზავნ ხარჯად 10 კ.

მინაარსი: წინასიტყვაობა. ხელოვნება: 1. ურწმუნო მწერლებს, 2. სიტყვა, კაზმული მწერლობა, 3. პოეზიის სამფლობელოში (გრ. რობაქიძის ლექციის გამო), 4. ნავთსაყუდლის ძებნაში, 5. ქართულ მუსიკის შესახებ, 6. ცოტა რამ ხელოვნების შესახებ. რელიგია-ფილოსოფია: 1. ინდოეთის სიბრძნე (ბრაჰმანიზმ-ბუდიზმი), 2. ლევ ტოლსტოი (სიცოცხლის ტრაგედია, მგლოვრები), 3. ქალის სევდა, 4. წერილები იტრიის წინაქვილიდან („იმა ქვეყანათა ხელმწიფება“) ეს უკანასკნელი, ახალი წერილია. დამატება: რამდენიმე წერილი ხელოვნების შესახებ 1901—1902 წლ. „ცნობის ფურცელ“—„მოამბიდან“: 1, ქართული თეატრი; 2, თეატრი და ხელოვნება; 3, ხელოვნების გამარჯვება; 4, ქართული ხელოვნება გამოფენაზე, 5, გ. გ. გაბაშვილის მხატვრობის გამო; 6, „ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი!“

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში: წ. კ. ს. მაღაზიასა და „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში; ქუთაისში: „კოლხიდის“ რედაქციაში; ბათუმში: ირ. ავალიშვილთან; სოხუმში: ნ. ჯანაშიასთან; სურამში: ალ. ზურაბახთან; გორში: სილ. კიკნაძესთან; თელავში: ი. პაატაშვილთან. (0—12)


**მეხაქონლეობის განყოფილებაში** ადგილები უკვე განაწილებულია. ამ განყოფილებაში სხვათა შორის გამოფენილი იქნება რქიანი საქონელი დანიიდან, თექვსმეტი სული. როგორიც მაგ. წითელი (ფიუნენისა) და ჭრელი (იუტლანდი). ეს საქონელი ეკუთვნის დანია-რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საექსპორტო საზოგადოებას (კოპენჰაგენი).

**მეცხვარეობის განყოფილებაში** მიიღებენ მონაწილეობას ფონ-ცინგლერი, ბაზდირევი. გამოჰფენს მერინოსებს, სნიკიენკო ლინკოლის ჯიშს. მსხვილი საქონლის გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს სხვათა შორის ჩეხიის სოფლის მეურნეთა კავშირი, გამოჰფენს სიმენტალის ჯიშს.

შინამრეწველობის განყოფილებაში გამოფენილი იქნება მოსკოვისა და პეტერბურგის შინამრეწველთა ნაწარმოებნი. ამას გარდა აქ იქნება გადმოტანილი შინამრეწველთა მთელი განყოფილება ცარსკოე სელოს გამოფენიდან, რომელიც ეხლახანს იყო გამართული.

**სამრეწველო განყოფილებაში** გაკეთებული იქნება უზარმაზარი პავილიონი მაიერის ჩითეულობის ნაწარმოებისა.

**მეღვინეობის განყოფილებაში** მონაწილეობას მიიღებენ გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი და კუპრიანოვი.

**[illegible] განყოფილებაში** გამართული იქნება სასოფლო-სამეურნეო დარგის წიგნებით ვაჭრობა. ხალხის გასართობად გამართავენ ელექტრონის **საქანელას** „კარუსელს“, რომელიც ოდესის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე იყო და რომელიც გაკეთებულია დანიაში.

გამომფენთა წასაქეზებლად დანიშნულია მრავალი ჯილდო, ვერცხლის, და ოქროს, ბრინჯაოს მედლები, ვერცხლის თასები და მრავალი სხვა. განსაკუთრებით საუკეთესო ჯიშის ცხენების გამომფენელთათვის სახელმწიფო ცხენების სანაშენო მთავარ გამგეობის მიერ დანიშნულია 12000 მანეთი.

დასასრულ არ შემიძლიან არ ვუსაყვედურო ჩვენს მეღვინეთ და სოფლის მეურნეთ. რატომ არ ინებეს ამ გამოფენაში მონაწილეობის მიღება? მართალია, მანქანებითა და კარგი ჯიშის საქონლით ვერავის გავაკვირვებთ, მაგრამ ჩვენი ღვინო, ხილი და ფუტკარი რომ საქვეყნოდ გამოვიტანოთ, ნუ თუ გავწითლდებით? ხომ ჩვენი ფუტკარი მთელს რუსეთში მეცნიერთაგან საუკეთესოდაა ცნობილი?

დღე-მუდამ გვესმის წუწუნი — ჩვენს ღვინოს, ხილს და სხვა რამეს ფასი არა აქვსო. ბატონებო არც არას დროს ექნება, თუ ხილი ფარდულს არ გამოაცილეთ და ღვინო-მარანს. რა გაუხსნის თქვენს ნაწარმოებს ბაზარს, თუ ამ ნაწარმოების ღირსება არ ეცოდინებათ? ამ ღირსების გაცნობა კი გამოფენების საშუალებით შეგიძლიანთ. იქ ტყვილად მიმითითებთ სიშორეზე. „თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევა“. ხომ ზემოდ ამოიკითხავდით, რომ ამ საყურადღებო გამოფენაში გერმანიიდან და დანიიდანაც კი მოდის გამოსაფენი საქონელი. არა მგონია ტფილისიდან როსტოვამდე ღვინის ჩამოტანა მეტი დაჯდეს, ვიდრე დანიიდან, ან გერმანიიდან საქონლის გადმოყვანა.

ხომ აქვე, როსტოვში, არიან ღვინით ქართველი მოვაჭრენი ბ. ბ. სააკაშვილი და ანდრონიკაშვილი? დიდი ფირმებიცა აქვთ. რატომ არ ისურვეს ბუნებრივ კახურ ღვინის ბაზარზე გატანა? მაგრამ... ქართველური გულგრილობა აქაც გამოვიჩინეთ, სიზარმაცემ დაგვიგდო და თუმცა ფლავი წინ გვიდგია და საჭიროა პატარა ხელის განძრევა, რომ ყელი ჩავიკოკლოზინავოთ, მაინც ვეზარება და კერძს სხვებს ვუთმობთ...

**სან-ზანი-ძე.**

P. S. გამოფენის ანგარიში გახსნისათანავე დაიბეჭდება ჩვენს გაზეთში.

## პრემიერ მინისტრის სტოლიპინის გარდაცვალება

**დეპეშები**
(პეტ. დეპეშათა სააგენტოსაგან).
5 სექტემბერი.

**კიევი.** ბიულეტენი სტოლიპინის ავადმყოფობისა: დილის 9 საათი. საღამოს გულის ცემა ძლიერ დაუსუსტდა. მაჯის ცემა 132. ანთება ისევ გრძელდება. სიცხე—37. საერთო მდგომარეობა საშიშოა.

**კიევი,** სტოლიპინის მდგომარეობა უკან-უკან მიდის. ექიმთა მიერ გამოწერილი წამლები არას შველის.

**კიევი.** სტოლიპინი საღამოს 10 საათსა და 12 წუთზე გარდაიცვალა.

**კიევი.** სტოლიპინი უწვალებლად გარდაიცვალა თავისის მეუღლისა, ძმისა, ძმათა ნეიდგარტების და ექიმთა თვალწინ.

**ოდესა.** გაჩხრეკის შემდეგ დააპატიმრეს საავადმყოფოს გამგე ექიმი ბოგროვი, სტოლიპინის მკვლელის ნათესავი.

**მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტატს-სეკრეტარი პეტრე არკადის ძე სტოლიპინი. 1862** წელს დაიბადა. საშუალო სწავლა ვილნისა და ორლოვის გიმნაზიაში მიიღო. პეტერბურგის უნივერსიტეტში ფიზ.—მათემატ. ფაკულტეტი გაათავა 1885 წელს.

პირველად მიწათმოქმედების სამინისტროში სამსახური დაიწყო. რამდენიმე წლის სამსახურის მერე კოვენის თავად-აზნაურთა სამაზრ. წინამძღოლად დაინიშნა, შემდეგ საგუბერნიო წინამძღოლადაც. 1901 წელს იგი გროდნას გუბერნატორად განაწესეს, 1903 წ. სარატოვის გუბერნატორად გადაიყვანეს.

1904—5 წლების მოძრაობის დროს მისი მოღვაწეობა თვალსაჩინო გახდა. პირველ სათათბიროს დროს, როდესაც პრემიერ მინისტრად იყო, სტოლიპინს შინაგან საქმეთა მინისტრობა მიანდვეს.

აქ მან დიდი ფხა და ტახტისადმი ერთგულობა გამოიჩინა. პირველ სათათბიროს დათხოვნის დროს, რუსეთის ცხოვრების უკიდურეს გაჭირვების ხანს, 1906 წ. 9 ივლისს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა, ამავე დროის შინაგან საქ. მინისტრობასაც ეწეოდა... მას მერე განსვენებული დღევან დღამდე პირდაპირ მიდიოდა ერთხელ არჩეულის გზითა და არც გადაუხვევნია.

## მოწერილი ამბავი

**ს. ერთა-წმინდა, (გორის მაზრა).** ერთა-წმინდას, როგორც უფრო მთაგორიან ადგილს, ადრე მოადგა კარს შემოდგომა. დღეს აქ სრული შემოდგომის ნიშნებია: ზაფხულის წყნარი და ცხელი ჰავა შესცვალა მეტად საგრძნობელმა ცივმა ჰავამ, რასაც ამ ბოლო დროს დაერთო განუწყვეტელივი ქარი და დრუბლიანი დარი. გათავდა კალოობაც და ეხლა გლეხი ვენახისკენ კაიყურებს, სადაც იგი საჭმელ ყურძენსაც ძლივს მოაგროვებს, არამც-თუ დასაწურავს. ან-კი რადა ვენახები გადურჩა ჭაობებს და „ვაზის ჭიაქსს“-ფილოქსერას! ჭაობებმა ხელ-ცარიელი დასვა ზოგი ვენახი, როგორც ჭირნახულიდან, ისე ვენახებიდანაც. ფილოქსერა ხომ კიდევ ისე უღმობელად ანადგურებს ვენახებს, რომ თუ ასე გასტანა რამდენიმე წელიწადს, ვენახის ნასახსაც ვერ ნახავთ, როგორც ჩვენში, ისე მთელს ხეობაში. უსახსრობა-კი ამ სენთან ბრძოლაში დიდია. ჩვეულებრივმა წამლობამ რა ვერა უშველა რა, ხალხმა გადაჭრა დაუწყო ვაზს, ახალი უფრო სადს ამოიყვანსო, მაგრამ ფილოქსერის თვისება სულ სხვაა.. რას უშველის გადაკაფვა, როცა ფილოქსერის მატლი ვაზს შიგ ძირში აქვს [illegible] ღილი.

უფრო იმედიანად სიმინდი გამოიყურება, რომელიც რამდენადმე გამოაცოცხლა მარიამობისთვის შუა რიცხვებში დიდი გვალვების შემდეგ, მოსულმა წვიმამ. მოკლედ ეს ითქმის წრევანდელ მოსავალისა.

[illegible] სასმელი წყლის უქონლობისა. ამაზე ბევრი წერებულა ქართულსა თუ რუსულს გაზეთებში, მაგრამ ჯერა და ჯერ მიაქციეს ყურადღება, ვისიც ჯერ არს. გაჭირვება-კი, რომელსაც დღეს განიცდის სოფლის უტყვი თუ მეტყველი, ფრიად დიდია, ზაფხულში კიდევ, როგორც იყო იოლად მიდიოდნენ. მაშინ საქონელიც მინდვრად იყო გასული, ხალხიც შორიდან ეზიდებოდა და ხან რუს წყალსაც სვამდა, არ ერიდებოდა ჭუჭყს. მაგრამ რა ქნას სოფელმა ზამთარში? ვინ არის შემბრალებელი? რამდენჯერ დაადგინა სოფელმა განაჩენი, მაგრამ განაჩენი განაჩენადვე დარჩენილა. ხან მამასახლისმა არ შეამოწმაო, ხან მწერალმა არ შეიტანა დავთარშიო, ხან თვითონ ბ. მომრიგებელი-შუამავალი არ ამტკიცებსო, და ასე ამ რიგად [illegible] არის ერთაწმინდელებს უწყლობაში ამოხდეთ სული. გაგონილა და თქმულა, რომ სოფელი მზად იყოს უკანასკნელი გროში გამოიღოს წყლის გამოსაყვანად და რადგან სრულიად გაუგებარის მიზეზებისა გამო მეორე წელიწადია ხელს უშლიდნენ?! ვის მოეკითხება სოფლად უგზობა, ან უწყლობა, თუ არა ადგილობრივ ადმინისტრაციას: მამასახლისს და მის ზევით? საქმე იქამდის მივიდა, მამასახლისისა და მწერლის „უთრუჯის“ ხრიკების წყალობით, რომ ამ სამადლო საქმის მეთაურებს დასახელებულ თანამდებობის პირებმა კინაღამ [illegible] გაუხადეს საქმე გასულ ზაფხულს. ნეტა რა დანაშაულისათვის სჯის ადგილობრივი ადმინისტრაცია ერთაწმინდელებს ასე სასტიკად?! იყო ცდა ზოგიერთი ადგილობრივი ინტელიგენტების მხრივ მოედებინებინათ ყურადღება მომრიგებელ-შუამავლის ბ. ამირაჯიბისა, ამ საგანზე წერით თუ სიტყვით, მაგრამ ყველაფერი ამაოდ.

მაშ, როდის ვეღირსებით წყალსა და გზებს?!

**ი. კატოშვილი.**

## უცხოეთი

**გაფიცვა ესპანიაში.**

მინისტრთა საბჭოს სხდომა ჰქონდა გაფიცვის გაძლიერების გამო.

მთავრობა რადიკალების განცხადებამ ძლიან შეაფიქრიანა. ისინი ამბო-

ლი ყოფილა კარებისა და ფანჯრების ჩარჩოები და კარნიზები, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთის კედელი.

ტაძრის შინაგანს სამკაულს შეადგენდა კედლის მხატვრობა, რომლის ნაშთი დღესაც ემჩნევა სამხრეთის კარის თავზე და რომლითაც მორთული ყოფილა ნიშები, კამარები და კედლები. ამას გარდა, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მოწმობს, ბაგრატის ტაძარი „სოფიის კენჭითაც“ (მოზაიკით) და თეთრის, წითელისა და ჭრელი მარმარილოთი ყოფილა საუცხოვოთ შემკული[9]).

ასეთი ყოფილა ტაძრის შინაგანი მორთულობა. რაც შეეხება მისი კედლების გარეგან მხარეს, ზემოთ დასახელებულ წნულ სამკაულის გარდა, მის ფრიად საყურადღებო მორთულობას შეადგენდა ტაძრის ფასადებზე მწყობრად ჩაყოლებული, „პერანგის“ ქვებშივე ამოჩუქურთმებული, გრძელი ლამაზი ჩარჩოები წვრილის მაღალი რკალ-სვეტებისა. ამგვარი რკალ-სვეტოვანი ჩარჩო, მაგალითად, დასავლეთის კედელზე ხუთი იყო, ხოლო სამხრეთისა და ჩრდილოეთისაზე ათ-ათი; აღმოსავლეთის ფასადი კი უფრო უხვათ ყოფილა მორთული ამ სამკაულით[10]).

ტაძრის სახურავი თუმც დღეს აღარ არსებობს, მაგრამ, ეჭვს გარეშე, მისი ფორმა იგივე უნდა ყოფილიყო, როგორიც გვხვდება, საზოგადოთ, იმავე პერიოდის ქართულ ეკლესიებზე; სახელდობრ, იგი იქნებოდა თლილი ბრტყელ-ბრტყელი ქვების ორ-ორ ფრთად (იქით და აქეთ) გადაკიდებული.

ტაძრის ნანგრევებს შორის დარჩენილია გუმბათის ერთი ჩუქურთმიანი ქვა, ფანჯრების პატარა რკალთაღები და პატარა სვეტების ნაწილები. ამ ნაშთების მიხედვით შესაძლო ხდება დავასკვნათ, რომ ტაძრის თავი შემკული ყოფილა თორმეტ-კუთხიანის და თორმეტ-ფანჯრიანი გუმბათით, რომლის „ჩაბალახიც“ (კონუსი-სახურავი) აგრეთვე თორმეტ-კუთხედიანი უნდა ყოფილიყო[11]). ესევე ნაშთები გვიჩვენებს, რომ გუმბათი, როგორც უფრო გამოსაჩენი ნაწილი სახურავისა, ბაგრატის ტაძარს მდიდრათ ჰქონია მორთული წნული ორნამენტით, ლამაზი არკებითა და პატარ-პატარა კოლონებით.

ასეთი იყო ბაგრატის ტაძრის გეგმა და შინაგან-გარეგანი მორთულობა. როგორც სჩანს, შინაგანი მორთულობა მას უფრო ბიზანტიური ჰქონია, მაგრამ გარეგანი სამკაული და გეგმის მრავალი საგულისხმო მხარე—ადგილობრივი ქართული. იგი წარმოადგენდა ჰარმონიულს შეერთებას ყოვლისავე იმისას, რაც კი საუკეთესო მოიპოვებოდა იმ დროს ქართულსა და ბიზანტიურს ხელოვნებაში, მაგრამ ქართული ელემენტი სჭარბობდა. ამიტომ სამართლიანათ იქცევიან ის მკვლევარნი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ეს ტაძარი უფრო ქართულია, ვინემ ბიზანტიური[12]). ამ მხრით მისი მნიშვნელობა ჩვენ. ქართველებისათვის მეტად დიდი და ფასდაუდებელია.

ამიტომ ჭეშმარიტად სატირალია ამ დიდებული საისტორიო ნაშთია დღევანდელი მდგომარეობა. უკეთ რომ ვთქვათ, სატირალნი ვართ თვით ქართველები, რომელნიც ამ საერო ძეგლისადმი ყოვლად შეუწყნარებელს გულგრილობას ვიჩენთ: ჩვენმა წინაპრებმა იგი ააშენეს, ჩვენ კი მისი **ნანგრევებისათვისაც** ვერ მოგვივლია!

„ეზო ტაძრისა წარმოადგენს საქონლის ფარეხს, ზღუდეები დამგვრეულია და გალავანში თავისუფლად დახეტიალობენ ძაღლები, ღორები, ხარები და სხვა ცხოველებიო“, — ვკითხულობთ ყოვლადსამღვდელო, იმერეთის ეპისკოპოსის, გიორგის მოწოდებაში ამ საგნის შესახებ.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ამ ჟამად ქუთაისში ყოვლადსამღვდელო გიორგის თაოსნობით, შემდგარა წრე, რომელსაც განუზრახავს ბაგრატის ტაძარს ზღუდე შემოავლოს და მისი ეზო სამარცხვინო მდგომარეობისაგან დაიხსნას. ამ აზრით უკვე შემოწირულობაც იკრიბება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი ერის შეძლებული ნაწილი ამ საშვილიშვილო საქმისათვის თავის წვლილს არ დაიშურებს. „სხვა რომ არა იყოს რა, თავმოყვარეობამ მაინც არ უნდა მოგვცეს უფლება შევირცხვინოთ თავი განათლებულ ხალხთა წინაშე, რომლებიც ხშირად მოდიან ხოლმე ხსენებულ ნაშთის დასათვალიერებლად“!

**ს. გორგაძე.**

ტფილისი. 1911 წ. 8 ივნისი.

[9]) საქართვ. გეოგრაფია, გვ. 280.

[10]) ქართული ტაძრების ფასადებზე და მათ მორთულობაზე იხ. Н. Кандаковъ. Древн. архит. Грузіи, стр. 40—44.

[11]) პავლინოვი, Матер. по археол. Кавказа. вып. III, стр. 39—40.

[12]) იქვე, გვ. 46: „Несомнѣнно храмъ этотъ имѣетъ и свои кавказскія, грузинскія особенности, свой особый складъ, какъ то алтарныя ниши, плетеный орнаментъ и проч. Все это вмѣстѣ взятое не позволяетъ назвать этатъ храмъ чисто византійскимъ, но скорѣе грузинскимъ... გურზოვი ჩვენია“.

**ბაგრატის ტაძრის გეგმა**



ბენ, სოციალისტებს შეუერთდებით და საერთო გაფიცვის მომზადებას ხელს შეუწყობთო.

**ბილბაოში გაფიცვა.** გენერალ-გუბერნატორმა ბისკაიმ ცენზურა დააწესა გაზეთებისთვის, რის გამოც ასოთამწყობნი გაიფიცნენ. მათი რიცხვი ოთხი ათასამდეა.

მადრიდშიაც საერთო გაფიცვა ჯერ არ შეწყვეტილა.

გენერალ-გუბერნატორმა ბისკაიმ განაცხადა, თუ უწესოება დაიწყო, მონდობილი მაქვს არტილერია ავამოძრაოთ.

**სოციალ-დემოკრატთა პარტიები.**

დღეს პარტიებს სადღესასწაულო ელფერი მიეცა. დარბაზი გაჭედილია; მოხსენება ბებელმა უნდა წაიკითხოს, რომელსაც დიდის ოვაციებით შეეხვდებიან.

ბებელმა დაახასიათა გერმანიის საგარეო პოლიტიკა. ბებელი მაროკოს ბუნებრივს სიმდიდრეს აქებს. მოლაპარაკე მაროკოში უველა ერის თანასწორ უფლებიანობის მომხრეა, მაგრამ აღნიშნავს ქვა-ნახშირის მადნებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ექნება გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობისათვის. ბებელის აზრით, ომი მაინც შეუძლებელია, რადგან მაროკო „პომერანიის ერთი ჯარის-კაცის ძვლადაც არა ღირს".

ბებელი პანგერმანისტთა ამხილებს, კონფლიქტს ხელს უწყობენო. მოლაპარაკემ ქება შეასხა იმპერატორ ვილჰელმის მშვიდობიანობის მოყვარეობას, რომელიც პანგერმანისტთა მედიდურობასა და ყოყოჩობას წინაღუდგა. ამისთანა დამარცხება ყველა გააკვირვა.

დასასრულ, კრებამ ომის საწინააღმდეგო და სამშვიდობო პოლიტიკის მხარის მიმცემი დადგენილება მიიღო.

ბებელის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ლიბერალურთა გაზეთები სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკას იწონებენ და მამულიშვილურს უწოდებენ. ის სურათი, რომელიც ბებელმა დახატა, როგორც ომის შედეგი, მშვენიერი საგიტაციო მასალაა ომის წინააღმდეგ.

შემარჯვენეთა ორგანოები, ბებელის მამულიშვილობას დასცინიან და თანაც მთავრობას ურჩევენ, ომის დროს შინაურ რევოლუციასთან საბრძოლველად მზად იყვნენ.

**სიძვირესთან ბრძოლა.**

საფრანგეთში, კრეიდში (უაზის დეპარტამენტია) შემდეგი ამბავი მოხდა: დიდძალმა ხალხმა ქალაქის გარეშემო სოფლებიდან ქალაქს მიაშურა და პოლიციასთან შეტაკება ჰქონდა. ჯარმა, სამჯერ გაფრთხილების შემდეგ, ბრძანება მიიღო, ბრბო გაეფანტა. დაიწყო ხელჩართული ბრძოლა ხალხსა და ჯარისკაცთა შორის. პირველთ სანგრების აგება დაიწყეს და თავს რითაც შეეძლოთ იმითი იცავდნენ. ორივე მხარეს დაჭრილი ბევრია.

შარლევილშიაც მოხდა შეტაკება. ჯარმა ბრძანება მიიღო, ბრბო გაეფანტა; დეპუტატი პულენი ჯარისა და ხალხს შორის ჩადგა. იგი დაჭრეს. ბრბოს მხრიდანაც ისმოდა სროლა. ჯარისაგან ხალხმა ჯარის იერიშს ვერ გაუძლო და ტყეს შეაფარა თავი.

**ეტნის ამოხეთქა.**

ეტნის ამოხეთქა ჯერ ისევ ძლიერი არის უთუოდ. 78 ცეცხლის მფრქვეველმა მთამ დააღო პირი. ზარალი ძლიერ დიდია.

# რუსეთი

**ოდესის** თვითმართველობაში ხმა დადის, ტოლმაჩევს ჩქარა გადააყენებენო. თუ ტოლმაჩევი ოდესაში დასტოვეს ქალაქის საბჭოს უმრავლესობა, ქალაქის მოურავიანად სამსახურს თავს დაანებებსო.

**რეველში,** მთავრობის განკარგულებით, დახურულ იქმნა ლოთობასთან მებრძოლი საზოგადოება, რადგანაც მისი მოღვაწეობა არაკეთილსაიმედოდ სცნეს.

**მინისტრის პასუხი.** განათლების მინისტრის კასოს ცირკულიარის შემდეგ, რომელიც უნივერსიტეტში სტუდენტთა ყოფნის დროს ჰსაზღვრავდა, საფიზიკო-მათემატიკო ფაკულტეტმა იშუამდგომლა მინისტრის წინაშე, ამ ფაკულტეტზე განსაკუთრებულ წესებით არის სწავლა და ცირკულიარი საფიზიკო-მათემატიკო ფაკულტეტის სტუდენტებს ვერ შეეხებაო. ესლა ფაკულტეტმა მინისტრისაგან პასუხი მიიღო, შუამდგომლობის შეწყნარება შეუძლებელიაო.

**უფლების დამკარგველნი.** როგორც „უტრო როსიის" ატყობინებენ, პეტერბურგში ხმა დადის, დათხოვნილ მსმენელ ქალთაგან მხოლოდ იმათ არ მიიღებენ, რომელთაც პოლიციის დეპარტამენტი კარგს მოწმობას არ მისცემსო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 სექტემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**ბილბაო.** უკანასკნელ გაიდეს ქალაქმა წყნარებრივი ელფერი მიიღო. სოციალისტთა კლუბის პრეზიდენტი, მდივანი და გაფიცულთა დეპუტაციის მეთაური დააპატიმრეს.

**მადრიდი.** მინისტრ პრეზიდენტი კატეგორიით უარყოფს, თითქოს გერმანიისათვის კანარის კუნძულებზე ნავთსადგურისა, ან სხვა კუნძულის დათმობას აპირებდნენო.

**ბერლინი.** კიდერლენ-ვეხტერმა კამბონს გერმანიის პასუხი ჩააბარა.

**მადრიდი.** ოფიციალურ ცნობებით, ბარსელონაში ანარქისტებს საერთო გაფიცვის მოსახდენად გეგმა შეუდგენიათ ტელეგრაფის ტელეფონისა და რკინისგზის მოძრაობის შეწყვეტა განუზრახავთ. განზრახული იყო აგრეთვე გაზეთების შეჩერებაც. გუბერნატორის მიერ მიღებულ ზომებით გაზეთები გამოდის. სარევოლიუციო კომიტეტის თითქმის ყველა წევრი დაატუსაღეს.

**ბილბაო.** ხუელვას, კადიქსა, სევილიას და კიხონში საერთო გაფიცვა გამოაცხადეს, ხოლო აქა-იქ—ბარცელონაში. გაზეთები არ გამოსულა.

**სარაგოსა.** საერთო გაფიცვაა. სერიოზული არეულობა ხდება. გაფიცულნი პოლიციას ესროდნენ, უკანასკნელმა მწყობრის სროლით უპასუხა 5 დაჭრილია, ერთი მოკლული.

**ვენა.** სადამოს ოტტაკ-რინგის ოლქში უწესოება გამწვავდა. დემონსტრანტებმა გაზის ფარნები დალეწეს. სანგრები ააგეს ჯარის შესაფერხებლად, სოციალ-დემოკრატთა კომიტეტი აღნიშნავს, მშვიდობიან დემონსტრაციის შემდეგ, გაუწრთვნელი ელემენტი პოლიციასა და ჯარს შეეტაკაო. მუშებს ურჩევს დემონსტრაციას ნუ ახდენთ და ორშაბათიდან მუშაობას შეუდექითო.

**ვენა.** გუშინდელ უწესოების დროს, 90 კაცი დაიჭრა. დღეს სრული სიმშვიდეა. მუშაობა ყველგან დაიწყეს. სადამოს ოტტაკ-რინგის უბნიდან ჯარი გაიყვანეს.

**სალონიკი.** ქრისტიანებმა და ებრაელებმა დაადგინეს მთავრობის მოქმედება დაჰგმონ, რადგან ხოლერასთან ბრძოლის წინააღმდეგ ადგილობრივ ზომებს არ იღებს.

**სტამბოლი.** ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 228 კაცი, 137 გარდაიცვალა.

**რ უ ს ე თ ი.**

**მოსკოვი.** ნევროპატოლოგთა და ფსიხიატრთა კავშირის კრება გაიხსნა. პროფესორ სერბსკის სიტყვის შემდეგ, რომელიც მთავრობის მოქმედებას კრიტიკით შეეხო, სხდომა პოლიციის წარმომადგენელმა დახურა.

**მოსკოვი.** ქალაქის უფროსმა ფსიხიატრთა კრების ნება მისცა იმ პირობით, თუ სხდომებზე მხოლოდ სამეცნიერო საუბარი ექნებათ პროგრამის განსაზღვრულ ფარგლებში.

**ხ ო ლ ე რ ა.**

**ასტრახანი.** ერთის კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 26, გარდაიცვალა 15.

2 სექტემბერს ერთი კაცი ავად გახდა და შავი ჭირით.

**დონის როსტოვი.** ერთი კვირის განმავლობაში ქალაქსა და მის მიდამოებში ხოლერით ავად გახდა 8, გარდაიცვალა 2.

# ჩვენებური კრიტიკანობა

(პასუხად ბ-ნს ქერას).

კაი ხანია ისმოდა დასავლეთ საქართველოდან ჩივილი: ზოგიერთა სიტყვები, ნახმარი „დედა-ენაში", იმიერ ქართველებს ეუცხოებათ, არ ესმითო. ამ ჩივილს ჩვენ ჯეროვანი ყურადღება მივაქციეთ და ასეთი ხერხი ვიხმარეთ ერის ზაფხულის დამდეგს მივუტანე აკაკის „დედა-ენა" და ვთხოვე: გეთაყვა, აკაკი, ეს „დედა-ენა" თან წაიღე სოფელში, გულდადებით გადიკითხე და აღნიშნე ყველა ის სიტყვები, რომელნიც იმერთათვის გაუგებარიათქო. აკაკი, როგორც მოგეხსენებათ, სხვათა ღირსებათა შორის, შემკულია დაუზარელობით. მან დიდი სიამოვნებით მიიღო ჩემი თხოვნა და წაიღო წიგნი საზაფხულოდ სოფელში. როცა შემოდგომაზე სოფლიდან ტფილისში ჩამოვიდა, თავისი ჩვეულებრივი თავაზიანობით მომიტანა სადგურში „დედა-ენა", რომელშიაც ხაზი გასმული ჰქონდა ყველა სიტყვას, უხმარებელს დასავლეთ საქართველოში. მე დიდი მადლობა გადავუხადე და ვუთხარი: აკაკი, რაკი მადლი ჰქენი, ბარემ მარილიც მოაყარე: მიკარნახე თქვენებური სინონიმები და წიგნშივე გვერდით ამოვუყენებ ჩვენებურს სინონიმებსმეთქი. ბაშუსტაო, მითხრა, და დამიწყო კარნახი საჭირო სინონიმებისა. შემდეგი გამოცემა „დედა-ენისა" დაიბეჭდა იმ სახით, რომ ამერს ტერმინებს თვითონ ტექსტში იმიერთ სინონიმები უდგნენ გვერდში...

გავიდა რამდენიმე წელიწადი. „დედა ენა" გაიყო ორ ნაწილად, რამდენიმე ახალი განყოფილებით შეივსო და ერთი ორად გადიდდა. ამ ახალს განყოფილებებშიაც თურმე მოექცნენ იმისთანა სიტყვები, რომელნიც იქითა საქართველოში არ იხმარებიან. ამისთანა სიტყვების სია შარშან მე მომივიდა ორის იმერი სახალხო მასწავლებლისაგან; ერთი სია მივიღე სვანეთიდან, მეორე ქიათურიდან. მე ამ ორი სიით არ დავკმაყოფილდი. მოვიწვიე ერთი იმერი მასწავლებელი, რომელიც ტფილისის სათათბიროს სკოლაში მოღვაწეობს და ითვლება ერთ საუკეთესო მასწავლებლად და ვთხოვე: ჩაკვირვებით გადიკითხეთ „დედა-ენა" და ხაზი გაუსვით ყველა სიტყვებს, რომელნიც თქვენსკენ არ იხმარებიან მეთქი. ამანაც რამდენიმე ჟამის განმავლობაში ხალისიანად მოიყვანა სისრულეში ჩემი თხოვნა. მის მიერ ხაზ გასმული სიტყვები ამოვსწერე და შესდგა ოთხი სია: აკაკისა, სვანური, ქიათურული და თბილური. ამ ოთხი სიიდან შევადგინე ერთი სია, და ლექსიკონების დახმარებით გვერდში ამოვუყენე ამიერ ტერმინებს იმიერი სინონიმები. წავუკითხე ეს პატარა ლექსიკონი იმიერ მასწავლებელს, შევასწორეთ და ისე ჩავურთეთ „დედა-ენაში". კორექტორადაც ამ ლექსიკონისა და მთელის უკანასკნელის გამოცემისა იგივე იმერი მასწავლებელი გახლდათ.

დამზადდა ამ ზაფხულში ახალი გამოცემა „დედა-ენისა" ლექსიკონის დამატებით ბოლოში. „წერა-კითხვის საზოგადოების" მიერ დროებით აკრძალული იყო ახალი გამოცემის გაყიდვა, რადგანაც ძველი გამოცემა ჯერ არ გამოლეულიყო. აკრძალული იყო; მაგრამ ერთი ცალი ახალის გამოცემისა თურმე ხელში იგდო ერთმა უჩინმაჩინმა ქუდმა, „ქერას" ფსევდონიმით გამოხოხორიკებულმა. იგდო ხელში და ლექსიკონს ბრე გაადინა, „ასეთი ლექსიკონის მიწოდება მოწაფეებისათვის შეუნდობელი დანაშაულიაო", ავტორიტეტულად და ხმამაღლა აუწყა საზოგადოებას ჩვენმა ულმობელმა კრიტიკოსმა. ეს ლექსიკონი ახალი გამოცემიდან მთლად უნდა ამოიღოთო, თორემ „დედაენას უარვყოფთ, სკოლებში არ შეუშვებთო. ნახეთ, რა უმსგავსი ყოფილა ეს ლექსიკონი. სწორედ ღირსი ყოფილა სიკვდილით დასჯისა, გაქრობისა. საბრალდებულო ოქმიც საარაკოდ ასაბუთებს ასეთს სასჯელსა. „ავტორსაო, ბრძანებს ჩვენი ქერა ულმობელიძე, ლექსიკონში აუხსნია კვესი, რომელიც ყველა პროვინციაში იციანო, ხოლო იმისთანა სიტყვები გამოუტოვებია, რომელთაც განმარტება აუცილებლად სჭირდებაო." ამის შესახებ მკითხველს უნდა მოვახსენო, რომ სიტყვა „კვესი" მოქცეული იყო ერთს იმერს სიაში, როგორც უხმარებელი დასავლეთში, და ჩვენც ამის გამო ავხსენით. თუნდაც რომ ეს ახსნა მეტი იყოს, რა ხდება ამითი? რასაკვირველია არაფერი. რაც შეეხება აუხსნელს სიტყვებს, ჩვენი ულმობელაძე არც ერთს მაგალითს არ ასახელებს, ფშუტა ფრაზით კმაყოფილდება. საკადრისია ესა? თითქმის ამისთანავე „საფუძვლიანობით" გვაბრალებს მესამე ნაკლსა. „ზოგი სინონიმი ერთმანეთს არ შეეფერებაო." მოჰყავს ორი მაგალითი, მხოლოდ ორად—ორია. ნიახური—ოხრახუში, მარგილი—მაღალი პალო პირველს მაგალითში ცოტაოდენი სიმართლე მოიპოვება. ნიახური და ოხრახუში ერთმანეთისაგან განირჩევიან, მაგრამ ეს გარჩევა იმდენად მცირეა, რომ ჩუბინაშვილი მათ სინონიმებად სთვლის. მის ქართულს ლექსიკონში ვკითხულობთ: ოხრახუში-Петрушка; მისსავე რუსულს ლექსიკონში ვხედავთ: Петрушка-ნიახური. მარგილის შესახებ ქართულის ლექსიკონში ვკითხულობთ: მარგილი, მანა, პალო, რუსულ'ში: Колъ—მანა, მარგილი, პალო. ჩვენ ჩავუმატეთ განმარტებითი სიტყვა და გამოვიდა: მარგილი—მაღალი. მარგილი სწორედ მაღალი პალოა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პალოს მრგვალი თავი აქვს, მარგილს კი წვეტიანი, რის გამოც მარგილებზე ჩამოაგებენ, ჩამოაცმენ ხოლმე ძეძვის კონებსა და უკეთებენ ღობეს ბოსტანსა და ვენახსა. ეს განსაკუთრებული ნიშანი მარგილისა რომ დაგვემატებინა, უკიდურესი საჭაკეეკიჩიც კი ვეღარაფერს იტყოდა..

ჩვენს ულმობელს კრიტიკანს უნდა მოვახსენოთ, რომ „დედა ენა" არ ეპუება მის მუქარასა და ახალი გამოცემა ლექსიკონიანად მიისწრაფება სკოლებისაკენ, ქართველი ბიჭუნიებისა და გოგოლუკებისაკენ. ამ ლექსიკონს ყველა მასწავლებელი გაიცნობს და თუ რაიმე ნამდვილი ნაკლი შენიშნა აცნობებს გამომცემელს—წერა კითხვის საზოგადოებას. მასწავლებელთა შენიშვნებს მადლობით მივიღებთ, გამოვიყენებთ და შემდეგი გამოცემისათვის „დედა-ენის" ლექსიკონში მოვახდენთ ჯეროვანს ცვლილებასა.

დასასრულ ჩვენ კრიტიკანს ვაუწყებთ, რომ ფშუტა—მამაცური ფრაზებით არავის არ მოუტანია სიკეთე საქმისათვის და არც კარგი სახელი დაუმსახურებია პირადად.

იაკობ გოგებაშვილი.

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

**ტფილისიდან გადის:**

1) ბათუმისაკენ: N I—III კლ. ჩქარი მატ. ხაღ. 10 ს. 10 წუთზე. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) საფოსტო მატარ. N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ. რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) სახალხო მატ. დილის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ., მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) შერეული მატ. № 107, მეოთხ. კლასით, გადის ხაღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამე 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

ბაქოსაკენ: 1) სამგზავრო N 6. I—II კლ. გადის დილის 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარამში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

1) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. დილ. 2 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში ს. 44 წ.

1 8) ჩქარი მატ. № 2. I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუადღ. 1 ს. 44 წ., ბალაჯარამში ხაღ. 10 ს. 2 წ., ბაქოში ხაღ. 10 ს. 35 წ.

შერეული მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარამში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სახალხო მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) სახალხო მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის ხაღ. 7 ს. 30 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

1) საფოსტო მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

1 2) სამგზავრო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

**ტფილისში მოდის:**

ბაქოდან: ჩქარი მატარ. პლატზე. N 1 I—III კლ. ხაღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით ხაღ. 8 ს. 7 წ.

ბათომიდან: სამგზავრო N 6, I—III კლ ნაშ ადღ. 1 ს. 56 წ., საფოსტო N 4, ხაღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

ჯულფიდან: საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ერევნიდან: სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სამგზავრო N 7—8, დილ. 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, ხაღ. 8 ს. 30 წ.

**ქუთაისიდან გადის:**

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათომისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. ხაღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. ხაღ., ჩქარი 5 ს. 15 წ, ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

მორაპანისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. ხაღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

**ქუთაისს მოდის:**

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ. 8 ს. 20 წ. ხაღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით.

ბათომიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., სახ. 10 ს. 21 წ. დილით

მორაპანიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ.

ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. ხაღამოს.

**ტფილისიდან მცხეთაში:**

სახალხო მატ. N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის 4 ს. 3 ს. 26 წ.

სახ. მატ. № 77, I—III კლ. გადის დილ 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

**მცხეთიდან ტფილისში:**

სახ. მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალ ხო მატარ. N 76, გამოდის ხაღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის ხაღ. 7 ს. 30 წ.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილის-ბაქოკისლავოდსკამდე, საერთაშორისო სამილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა საგარაკო № 76, 77, 76ა, 77ა.

**ნ ი ს ხ რ ი**

**ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა**

(მეეტლებთან მოურიგებლად).

| | | |
|---|---|---|
| 1. | ქალაქში ერთ ადგილამდე | 40 კ. |
| 2. | ქალაქიდან განაპირებში: ნავთლუხი, დიდუბე, ნაძალად., ბოტან. ბაღი, აგრეთვე ვერის ბაღებში და უკან | 70 „ |
| 3. | ვაგზლიდან ქალაქში | 70 „ |
| 4. | ვაგზლიდან განაპირებში . 1 მ. | — |
| 5. | ვაგზ.-დან ნაძალად. და დიდუბეში | 40 „ |
| 6. | ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა სახაფლაოებამდე | 50 „ |
| 7. | მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრეთვე უკან | 80 „ |
| 8. | ქალაქიდან ქალაქის სამკურნალომდე ავლაბარში | 50 „ |
| 9. | ფუნიკულერის სადგურამდე | 50 „ |
| 10. | იქიდან უკან დაბრუნება | 40 „ |

# განცხადებანი


## დოქტ. ნავასარდიანისა

ქუჩელ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა,

ზ. ი. ბაბახანოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუღდინი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. აბეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერშაცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვთა.

ბ. გ. [illegible]: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. [illegible]-ენგელი: 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ვარცაშვილი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(ჩ. (1168—126)

◀ მშობიარეთათვის ▶

## თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლღას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მოსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 8 დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—108—744)

გამოცდილი **მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას ისწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის პირობებით: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. ყველა კლასის ჩინისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებიადეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 28, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

(თ.—1084—22)

**საბუღალტერო კურსები**

გ. და მ. ტერ-დავიდოვებისა.

ნიკოლოზის ქ., N 36, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

კანცელარია ღიაა საღამოს 4—6 ს

სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.

(25.781.10)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

## იყიდება შემდეგი წიგნები:

| | |
|---|---|
| თხ. არჩ. ჯორჯაძისა: | წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო", . . . . ფ. 75 კ. |
| | წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა" . . . . . . . ფ. 80 კ. |
| „ „ „ | „ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით" ფ. 1 მ. 20 კ. |
| B â t o n-ისა: | „სამეგრელოს მთავარი ლევან", 4 მოქმ. დრამა . . . . ფ. 40 კ. |
| შ. ყიფიანისა: | |
| შიუკაშვილისა: | „მეგობრობა", 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ. |

სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრეთ

## ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 9, ტელეფონი № 712,

## ✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

გირ. უდიდესკაცთ 25 კაპ.

მივიღეთ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა გირვანქა 1 მან. 20 კ.-დე.

(ჩ—1051—)